საქართველოს კონკურენციისა
და მომხმარებლის
დაცვის სააგენტო

N 02/5877
21/11/2025

5877-01-2-202511211005

შპს ნატურელს (ს/ნ 431178174)

მის: ქ.თბილისი, აგლაძის ქ. N 15, სავაჭრო ცენტრი „მეგალაინი“

გაცნობებთ, სსიპ - საქართველოს კონკურენციისა და მომხმარებლის დაცვის სააგენტოში (შემდგომში- სააგენტო) შემოვიდა მოქალაქე ნანა მანდარიას (პ/ნ 62005008274) (შემდგომში - მომხმარებელი/განმცხადებელი) 2025 წლის 30 ოქტომბრის №01/6553 განცხადება, რომლის საფუძველზე სააგენტოს თავმჯდომარის 2025 წლის 18 ნოემბრის №04/1346 ბრძანებით, დაიწყო საქმის შესწავლა მოვაჭრის - შპს ნატურელის (ს/ნ 431178174) მიერ „მომხმარებლის უფლებების დაცვის შესახებ„ საქართველოს კანონის (შემდგომში - კანონი) შესაძლო დარღვევის თაობაზე.

განცხადების თანახმად, მომხმარებელმა მოვაჭრის სავაჭრო ობიექტში „ნატურელი“ შეიძინა საყინულე. გამომდინარე იქიდან, რომ ადგილზე ვერ მოხერხდა ნივთის შემოწმება, მისამართზე ნივთის მიწოდების შემდეგ, მომხმარებელმა აღმოაჩინა, რომ შეძენილი ნივთი ნაკლიანი იყო, კერძოდ დაზიანებული ჰქონდა ქვედა მხარე. მომხმარებელმა მოითხოვა თანხის დაბრუნება, თუმცა მოვაჭრე არ რეაგირებს მომხმარებლის მოთხოვნაზე.

სსიპ - საქართველოს კონკურენციის ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარის 2022 წლის 29 სექტემბრის №45 ბრძანებით დამტკიცებული „საქმის შესწავლის წესისა და პროცედურის“ (შემდგომში - პროცედურა) მე-8 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, მოვაჭრეს უფლება აქვს:
ა)ჰყავდეს წარმომადგენელი;
ბ) სააგენტოს წარუდგინოს პოზიცია, ინფორმაცია ან/და მტკიცებულებები საქმის შესწავლის ნებისმიერ ეტაპზე;
გ) გაეცნოს საქმის მასალებს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 99-ე მუხლით დადგენილი წესით;
დ) მოითხოვოს ინფორმაციის/მტკიცებულებების წარდგენის ვადის გახანგრძლივება;
ე) განაცხადოს აცილება სააგენტოს თანამშრომლის მიმართ.

ხოლო ამავე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, მოვაჭრეს უფლება აქვს, აიღოს პირობითი ვალდებულებები კანონის სავარაუდო დარღვევის აღმოსაფხვრელად (შემდგომ – პირობითი ვალდებულებები).

კანონის 33-ე მუხლის მე-8 პუნქტის მიხედვით, საქმის შესწავლის დასრულებამდე სააგენტო განიხილავს კანონის სავარაუდო დარღვევის აღმოსაფხვრელად მოვაჭრის მიერ შეთავაზებულ პირობით ვალდებულებებს. თუ სააგენტო მიიჩნევს, რომ მოვაჭრის მიერ

დ. აღმაშენებლის გამზირი 154,
0102 თბილისი, საქართველო
15 20
info@gcca.gov.ge
www.gcca.gov.ge

ნაკისრი პირობითი ვალდებულებების შესრულების შედეგად აღარ იარსებებს კანონის სავარაუდო დარღვევის რისკი, იგი დაეთანხმება შეთავაზებულ პირობით ვალდებულებებს და საქმის შესწავლას კანონის სავარაუდო დარღვევის ფაქტის შეფასების გარეშე დაასრულებს.

ზემოხსენებულ შემთხვევაში, შემთხვევაში სააგენტო მოვაჭრესთან დებს წერილობით შეთანხმებას ვალდებულებების შესრულების პირობებისა და ვადის შესახებ. ამის თაობაზე ინფორმაცია სააგენტოს ოფიციალურ ვებგვერდზე ქვეყნდება.

პროცედურის მე-7 მუხლის საფუძველზე სააგენტო საქმეს შეისწავლის საქმის შესწავლის დაწყების შესახებ გადაწყვეტილების მიღებიდან 1 თვის ვადაში. საქმის შესწავლა, მისი მნიშვნელობისა და სირთულის გათვალისწინებით, შეიძლება გაგრძელდეს არაუმეტეს 3 თვისა, რის შესახებაც ეცნობება როგორც განმცხადებელს, ასევე მოვაჭრეს.

პროცედურის მე-17 მუხლის შესაბამისად, საქმის შესწავლის შედეგად, სააგენტო წერილობით იღებს ერთ-ერთ შემდეგ გადაწყვეტილებას:

ა) მომხმარებელთა ჯგუფის უფლების დარღვევის დადასტურების შესახებ;

ბ) მომხმარებელთა ჯგუფის უფლების დარღვევის დადასტურებაზე უარის თქმის შესახებ;

გ) მოვაჭრის მიერ პირობითი ვალდებულებების აღების შემთხვევაში დარღვევის ფაქტის შეფასების გარეშე საქმის შესწავლის დასრულების შესახებ.

დანართის სახით გიგზავნით სააგენტოს თავმჯდომარის 2025 წლის 18 ნოემბრის №04/1346 ბრძანების ასლს და მომხმარებლის განცხადებას. ამასთან პროცედურის მე-14 მუხლის პირველი ნაწილის თანახმად გთხოვთ, წერილის ჩაბარებიდან 5 სამუშაო დღის ვადაში მოგვაწოდოთ პოზიცია განცხადებაში დაფიქსირებულ გარემოებებთან დაკავშირებით, ამასთან, ამავე ვადაში გთხოვთ მოგვაწოდოთ - შპს ნატურელის (ს/ნ 431178174 სავაჭრო პოლიტიკა-ადგილზე ვაჭრობის შემთხვევაში, სრული სახით.

დანართი: „5“ ფურცელი.

სერგო სანიკიძე

დეპარტამენტის უფროსი
მომხმარებლის უფლებების დაცვის დეპარტამენტი

საქართველოს კონკურენციისა
და მომხმარებლის
დაცვის სააგენტო

N 04/1346
18.11.2025

ბრძანება

1346-01-4-202511181743

მოქალაქე ნანა მანდარიას განცხადების საფუძველზე საქმის შესწავლის დაწყების თაობაზე

„კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-17[1] მუხლის მე-4 პუნქტის, მე-18 მუხლის მე-4 პუნქტის, „მომხმარებლის უფლებების დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის 29-ე მუხლის 1-ელი პუნქტის და მე-4 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 30-ე მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტების, საქართველოს კონკურენციის ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარის 2022 წლის 29 სექტემბრის №45 ბრძანებით დამტკიცებული „საქმის შესწავლის წესისა და პროცედურის“ მე-5 მუხლის მე-3 პუნქტისა და მე-6 მუხლის 1-ელი, მე-2, მე-3 და მე-5 პუნქტების საფუძველზე:

ვბრძანებ:

1. ნანა მანდარიას (პ/ნ 62005008274) 2025 წლის 30 ოქტომბრის №01/6553 განცხადების საფუძველზე დაიწყოს საქმის შესწავლა მოვაჭრე - შპს ნატურელის (ს/ნ 431178174) მიერ „მომხმარებლის უფლებების დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაძლო დარღვევის თაობაზე.
2. ბრძანების შესრულებაზე კონტროლს განვახორციელებ პირადად.
3. საქმის შესწავლის დაწყების თაობაზე ეცნობოთ მხარეებს.
4. ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

საფუძველი: სსიპ - საქართველოს კონკურენციისა და მომხმარებლის დაცვის სააგენტოს მომხმარებლის უფლებების დაცვის დეპარტამენტის უფროსის 2025 წლის 17 ნოემბრის №03/1645 მოხსენებითი ბარათი.

ირაკლი ლექვინაძე

თავმჯდომარე